სახალხო გაგეთი

სურათებიანი დამატება
გაზეთის № 1016

დამატების № 179

კვირა, 13 ოქტომბერი 1913 წ.

უნიადაგონი

პიესა 4 მოქმედებად.
(შემდეგი *)

შემოდის **დარო** ჩაცმული.

დარო. აი, მზადა ვარ!.. რუსია, წავიდეთ!

რუს. მეც მზადა ვარ!.. (გამოდის. მიდიან. კარებში ზურა შეხვდება. დარო შუბლზე ჰკოცნის).

დარ. ნახვამდის, ზურა!

ზურა. ნახვამდის, დედა! (თავის ოთახში შედის. რამდენიმე ხანი სცენა ცარიელია. დერეფანში ფეხაკრეფით შემოდიან რამდენიმე გლეხი, წინ მოუძღვის ესტატე. ეს სხვებზე გაბედულია, ჩუმად ლაპარაკობენ. სცენაზე შემოსვლას ვერა ბედავენ. ესტატე კარებში შემოჰყოფს თავს).

ესტატე. არავინა ხარ სახლში? (დაიმალება. კაბინეტიდან დერეფანში გადის ნესტორ. დიდხანს ლაპარაკობენ. ნესტორ და ესტატე კაბინეტში შედიან. სხვები დერეფანში რჩებიან. შუა კარები მოხურულია. ყველაფერი ესა სჩანს შუშაბანდიდან).

დესპინე. (გამოდის დაროს ოთახიდან, ჯდება შუა მაგიდასთან და გაზეთს ათვალიერებს).

დომენტი. (სამზარეულოდან გამოდის, მიიხედ-მოიხედავს, ელექტრონის ღილს გადააბრუნებს, სინათლე ჰქრება. ფანჯარაში მთვარის შუქი).

დესპ. რას სჩადიხარ, ბიჭო?

დომ. მეშინია, თვალები არ წაგიხდეს ნამეტანი კითხვით.

დესპ. სულელი!

დომ. (მეორე მხარეს მიუჯდება) ახლა რა ვქნათ მე და შენ, ჩემო სულის კოკროჭინავ?

დესპ. რისი?

დომ. რავა რისი, ბეჩა? შეყვარების თაობაზე?

დესპ. თავი დამანებე ერთი!

დომ. რატომ, შე საწყალო? აქანა მარტის კატებივით ყველა შეყვარებულია და ჩვენ რა, ადამიანები არა ვართ თუ?

დესპ. რასა სულელობ?

პირველი ფელდცეხმეისტერი რუსეთის არტილერიისა **ბრჩილ მეფის ძე, ბატონიშვილი ალექსანდრე.**



ბატონიშვილი ალექსანდრეს ავტოგრაფი.
(იხ. „სახალხო გაზ.“ № 1013).

დომ. ამის მადლი ნუ გამიწყრება... გუშინ ქალბატონი და დოხტური აქანეი ვნახე ერთმანეთს ჰკოცნიდნენ... რო დევინახე,—გამაცივა, გამაცხელა, სიცხე მომცა, ოფლი დამასკდა... სირცხვილით კინალამ ანთება გამიჩნდა.

დესპ. იმათაც დაგინახეს?

დომ. ჰა, არა!

დესპ. მაშ მოგჩვენებია!

დომ. ბეჩა, სიზმარში კი არ ვიყავი! ამხელა კაცი კოცნას ვერ გავარჩევ?

დესპ. მეავე კამფეტს თუ სჭამდნენ!..

დომ. კამფეტისა რა მოგახსენო და მგონი ლეღვი კი მიირთვა ჩვენმა ქალბატონმა.

დესპ. სუ, ბიჭო, გაჩუმდი! (P).

დომ. ჰმ... რავა ვქნათ ახლა?

დესპ. კარგი-მეთქი! ხომ გახსოვს, იმდღეს გადიამ რომ დაგვინახა და კინალამ ორივენი დაგვითხოვეს?

დომ. რატომ მერე? რას გვერჩიან? ვის რას ვართმევთ?

დესპ. არ გახსოვს რა სთქვა ქალბატონმა?

დომ. ჰო, რაო?

დესპ. მოსამსახურის სიყვარულისა კიდევ რა მცოდნიაო!

დომ. დიდება შენთვის, ღმერთო! ნეტა ვიცოდე, რატომაა ასე? გული ჩვენც ქე გვაქვს... სისხლი გვაქვს... მარა ალბად იმათ ჩვენზე უკეთესი სისხლი თუ აქვთ... ვითამ ახლა ქალბატონს უფრო უყვარს ექიმი, ვიდრე შენ მე გიყვარვარ?

დესპ. ეჰ, რა ვიცი... ასე კია და! (ჩაფიქრდებიან. კაბინეთში ლაპარაკი ისმის) ვაიმე, ბატონი შინ ყოფილა! (გავარდებიან).

ზურა. (შემოდის ღილინით, ქუდით ხელში, მიდის შუა კარებისაკენ. კაბინეთში ხმა მაღლა ლაპარაკი. სიმღერას შესწყვეტს, შეჩერდება და ყურს უგდებს).

ესტ. ხმა. მე რომ ვუმტყუნო ჩემს სიტყვას—მეპატიება,—გაუნათლებელი კაცი ვარ და შენ კი არ გეკადრება.

ნესტ. ხმა. ესტატე, შვილი ნუ მომიკვდება—გაგლახავ!

ესტ. ხმა. გამლახავ-რა, ჰალაჰალაა? რატომ უნდა გამლახო? მე სამართალს ვითხოვ!.. დამპირდი, ფული მოგეცი, პირობა შემისრულე, თუ არა და ჩემი ფული დამიბრუნე.

ნესტ. ხმა. შვილი ნუ მომიკვდება, გაგლახავ-მეთქი.

ესტ. ხმა. ვერც გამლახავ და თითსაც ვერ დამაწებ... (კაბინეთის კარები გაიღება და გამოვარდება ესტატე, სჩანს

*) იხ. სურათებიანი დამატება № 178.

მეხილეობის გამოფენა ტფილისში



ბ-ნ ხეთაგურის განყოფილება, სადაც გამოფენილია აუარებელი ექსპონატები საუცხოო მრავალ-გვარი ხილისა.



ბ-ნ ჩიქაძის განყოფილება. გამოფენილია ნამყენ ვაზისა და სანერგეების ექსპონატები მისივე სანერგედან სოფ. აჯამეთში (ქუთაისის მაზრა).

ხელი ჰკრეს, უკან მოსდევს ნესტორ. ალ-რე მაგიდას უზის. ზურა ფარდას ამოეფარება. შუა კარებში გლეხები თავს შემოჰყოფენ.)

ნესტ. გადი აქედან, თორემ ეხლავე ბიჭებს დავუძახებ.

ესტ. რატომ მაგდებ? უსამართლოდ ვითხოვ რამეს თუ? ფული გამომართვი—საქმეს გაგიკეთებო... თუ ვერ გაგიკეთო—ფულს უკანვე დაგიბრუნებო... ხომ ასე იყო ჩვენი პირობა? საქმე ვერ გამირიგე—ჩემი ფული დამიბრუნე.

ნესტ. შენი ფული დაიხარჯა.

ესტ. რაში დაიხარჯა?

ნესტ. შენს საქმეში.

ესტ. ნესტორ, შენ არ გეკადრება მაგი, თვარა ის ვაჟბატონი, ვიცი, რა პატიოსანი კაციც ბძანდება... მაგან ქვეყანა გაყვლიფა და მე დამინდობს?

ნესტ. ნუ ყვირი!

ესტ. რატომ ნუ ვყვირი? ვიყვირებ კი არა, ქვეყანას გავაგებინებ თქვენს კაი კაცობას...

ნესტ. შენი ქოხი ნუ გგონია ესა... ნუ ყვირი!

ესტ. ჩემი ქოხი რომ ამისთანა იყოს, ხვალვე ცეცხლს წავუკიდებ და დავწვავ.

ნესტ. წადი, იჩივლე, თუ გინდა!

ესტ. ვიჩივლებ და თვალსაც მოგთხრი... გუბერნატორთან წავალ... ნამესტნიკთან ვიჩივლებ!.. მე თქვენ გაჩვენებთ, როგორც უნდა ხალხის გაყვლეფა და მოტყუილება... თქვე არამზადებო, თქვენა!.. ფუი, თქვენს პატიოსნებას!..

ერთი გლეხი. (კარებში თავს შემოჰყოფს) არ გეკადრებათ, ბ-ნო, ჩვენისთანა საწყალი ხალხის გაყვლეფა... ღმერთი არ შეგარგებთ ჩვენს ნაოფლარს...

ესტ. რას ეუბნებით ამოდენა ხალხს, რომ გაცარცვეთ, გაყვლიფეთ?

ნესტ. ჰო, კარგი, წადი და იჩივლე შენს გუბერნატორთან! (ხელით მიჰყავს კარებისაკენ).

ესტ. ნესტორ, არც შენ დაგიჯდება იაფად, იცოდე!

ნესტ. ჰო, წადი და ვნახოთ, ვის რა ფასად დაუჯდება!.. (ძალათ გააგდებს და კარებს მიხურავს. დერეფანში ისმის უკმაყოფილო გუგუნი. ბოლოს მიწყნარდება).

შემოდის **ალექსანდრე** (პაპიროსით)

(დიდხანს ერთმანეთს მისჩერებიან, ალ-რე იცინის, ნესტორ გაჯავრებულია).

ნესტ. მამა ნუ წამიწყდება, ან თლად სულელი ხარ, ან გიჟი!.. რა გაცინებს?

ალ. (იცინის) უბედურ დღეზე გაჩენილო, ნესტორ, რა გეშველება ახლა?

ნესტ. მართლა რომ იჩივლოს იმ გიჟმა, რას უპირებ ჩემს ცოლ-შვილს?

ალ. რა გიშავს? გაგიყრიან ბორკილებს და **на 3 года въ арестантскія роты...**

ნესტ. იცინე, იცინე!.. თუ მე ბორკილები გამიყარეს, არც შენ ჩაგაცმევენ ამერიკულ „ბატინკებს“.

ალ. წადი, გაჰყევ, მართლა არ მიჰქაროს იმ ბრიყვმა... თუ რამე დააპიროს, მომხსენებელი გააფრთხილე... ჩემს მაგიერ უთხარი...

ნესტ. (ქუდს ეძებს) ღმერთო, ახლა გადამარჩინე მშვიდობით და...

ალ. (იცინის) ბორკილების ჩხარა-ჩხურით თუ გაგასეირნეს, ნესტორ! მერე, რა საბორკილე ფეხები გაქვს!

ნესტ. გნახავ „პოდრუჩკით“ რომ მამყვებოდე გვერდით! (გადის).

ალ. (კაბინეტში მიდის).

ზურა. (გამოჩნდება) მამა!

ალ. (შემოტრიალდა. ღიმილი შეწყდა) ზურა! შენ აკი თეატრში მიდიოდი?

ზურა. დიახ!

ალ. მერე რატომ არ წახვედი?

ზურა. მამა, რას ნიშნავს ესა?

ალ. რა?

ზურა. რას ნიშნავს ყველაფერი ეს?

ალ. რა გაყვირებს? დაგავიწყდა ვის ელაპარაკები?

ზურა. მაპატიე, მამავ, მაგრამ საშინელმა ეჭვმა შემიპყრო და თავს ვერ ვიჭერ... მინდა ვიცოდე, რას ნიშნავს ეს ლაპარაკი გლეხებთან?

ალ. თავის დროზე გაიგებ...

ზურა. (ყვირის) არა, ეხლავ! ეხლა უნდა გავიგო ყველაფერი, თორემ გეფიცები—თავს მოვიკლავ!

ალ. (თვალებში მისჩერებია. ზურას შეურყეველი გადაწყვეტილება მოალბობს) (P) კარგი, ოღონდ დამშვიდდი და გეტყვი! (P) შენ ეხლა ბავშვი აღარა ხარ და დროა გაიგო—რის პატრონი ხარ და რითი ვცხოვრობთ... ერთად-ერთი სალსარი ჩვენი ცხოვრებისა, აი ეს არის... კეთილ ცხოვრებას დაჩვეულს, არ შემეძლო მომეკლო რამ ჩემი ოჯახისათვის.. თქვენთვის აღზრდა იყო საჭირო... ტოლ-ამხანაგებში ვერ გამოვეთიშებოდი... საზოგადო ასპარეზზე ვმუშაობ... ყველა ამას ფული უნდა... შემოსავალი არსაიდან არის... ვაკეთებ პატარა საქმეებს და ცოტაოდენ ფულს ვიღებ.

ზურა. დედამ ეს იცოდა?

ალ. არა!

ზურ. მაშ კრებაზე რომ მექრთამე დაგიძახეს—მართალი ყოფილა!

ალ. ზურა, თავს ნუ ივიწყებ!

ზურა. დიახ, დიახ! რასაც ხალხში ლაპარაკობენ, რასაც სწერენ—ყველაფერი მართალი ყოფილა! მე-კი რა თავგამოდებით გიცავდი ყველგან!.. რა რიგად ვიყავი დარწმუნებული შენს პატიოსნებაში!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალ. მოთმინებიდან ნუ გამოგყევარ! მაშ შენ გეგონა ყველაფერი ეს ციდან ვარდებოდა? ფულებში რომ კოჭაობ, რატომ ერთხელ არ იკითხე—საიდანო?

ზურა. (ჯიბიდან საფულეს ამოიღებს და გადაისვრის) რა უყავ პაპიჩემის მამული?

ალ. შენს მამულს დიდი ხანია სხვა დაეპატრონა!

ზურა. აა, ეხლა-კი მესმის ჩემი ამხანაგების ცხვირის წევა და იგავებით ლაპარაკი! მექრთამის შვილი! მაშ ეს ავეჯი, ეს ტანთსაცმელი ვისი შრომითა და ოფლით არის ნასყიდი? ვინ იცის, თითეულ ჩემს ლუკმას რამდენი მშიერი მოსტირის? ახ, მამავ, რად მოიწამლე ახალგაზდობა? რად მოჰკალი ჩემში მამაშვილური გრძნობა? არ გერჩივნა სამ თუმნიან სამსახურში დამდგარიყავ, ან ხელგაწვდილი მოწყალება გეთხოვნა და ისე დაგერჩინა შენი ცოლ-შვილი ჯ ეს სამარცხვინო ჩირქი-კი არ მოგეცხო შენი ოჯახისათვის?.. რათა, მამავ, რისთვის? (სტირის).

ალ. კარგია, დაწყნარდი! ჯერ ბავშვი ხარ და არ იცი! ყველა ქურდობს, მდიდარი და ღარიბი—ყველა იგლიჯება! ხოლო ნემსის ქურდი სჩანს და აქლემის-კი არა! ეხლა წადი ოპერა მოისმინე და დამშვიდდები! აი, პავლეც!

შემოდის **პავლე.**

ალ. აბა, პავლე, წადით ოპერაში და მერე ერთად ვივახშმოთ.

პავ. რა ამბავია?

ალ. არაფერი, ნერვები აეშალა... აბა, ვახშმად მოგელით... (შედის კაბინეტში).

პავ. რა იყო, კაცო, რა ამბავია?

ზურა. ეჰ, პავლე, რომ იცოდე!

პავ. რა უნდა ვიცოდე?

ზურა. მამა-ჩემი... რომლის პატიოსნებაში ისე დარწმუნებული ვიყავი, რაღაც საეჭვო საქმეებს აკეთებს, თურმე, ქრთამებს ღებულობს და ჩვენ გვინახავს.

პავ. ჰოო, ეგ არის, სხვა არაფერი?

ზურ. (გაშტერებული შეხედავს) როგორ? შენ ეს იცოდი?

პავ. ვიცოდი...

ზურა. იცოდი და ჩვენს ოჯახში დადიოდი? პურსა სჭამდი, მამას ხელს ართმევდი?.. პავლე, მე შენ სულ სხვა კაცი მეგონე!

პავ. მოიცა, მოიცა, ჩემო კარგო! ნუ აზვიადებ!.. შენი ხნის ყმაწვილი ბავშვი ალარ არის... უნდა ფხიზელის თვალით შეხედო ცხოვრებას... შენა გგონია, ვინც თქვენსა დადის, სჭამს, ხელს ართმევს მამაშენს—არ იციან რომელი წყაროდან სცხოვრობთ? ყველამ იცის!

ზურა. მერე?

პავ. მერე რა! თუ ჩაუკვირდები, რომელ ოჯახს ნახავ, სადაც პატიოსან კაცს მიესვლებოდეს?! არა, მე საერთოდ არ ვლაპარაკობ... მე ვამბობ იმ პატიოსან და უმწიკვლო კაცზე, რომელიც შენ გყავს წარმოდგენილი... ზე-კაცზე, უცოდველ ანგელოზზე მოგახსენებ... ჰამ?! ეგრე რომ მივყვეთ, შიმშილით ამოვწყდებით! სად იპოვნი სიმართლით მოპოებულსა და ზნეობით დაკანონებულს ლუკმას? არსად! ხორცს რომ ყიდულობ და სჭამ, შენა გგონია—სამართლიანია? ტოლსტოი ამ შემთხვევაში ჰენიოსია! გირვანქა პურში რომ შაურს აძლევ, შენა გგონია ეს კანონიერი საფასურია? პურის მცხობელი რომ თონეში ჩაეყუდება, რამდენ წვეთ ოფლს დაღვრის, რამდენ უძილო ღამეს ატარებს, რომ გირვანქაზე ნახევარი კაპეიკი მოიგოს? შენ ამაზე არასოდეს არ გიფიქრნია! ლუკმა პური თუმანი უნდა ღირდეს, რომ მისი მცხობელისაგან დაღვრილი ოფლის ერთი წვეთი მაინც გამოვისყიდოთ. თუ ალალი ლუკმა გინდოდა,—პირუტყვად უნდა გაჩენილიყავ... და ასეა ყოველი დარგი... მთელი ცხოვრება სიცრუისა და სიყალბის საძირკველზეა აშენებული... ამ შენობას რომ სიმართლის ერთი აგური მიუმატო—შენობა დაინგრევა. ხელს ართმევდიო?!



მენდელ ბეილისი, რომელს ც ბრალად ედება ბავშკის იუშჩინსკის მოკვლა.

ვის აქვს სუფთა და პატიოსანი ხელი? მღვდელი დილით სახლში მოსამსახურესა სცემს, ცხვირიდან სისხლს ადენს,—მოდის ეკლესიაში და იმავე მარჯვენით წმინდა ზიარებას გაწვდის... ეგრეა! ის ქრისტეს მცნებას ქადაგებს მხოლოდ იმიტომ, რომ ამისათვის მას ჯამაგირს აძლევენ! ცხოვრებაში, ჩემო კარგო, კომპრომისებია საჭირო!

ზურა. კომპრომისი... დათმობა!..

პავ. სხვაფრივ ცხოვრება არ შეიძლება!

ზურა. არა, მე ეგ არა მსურს! არ შემიძლიან ამ ჭუჭყსა და ტალახში ცხოვრება! იქ, საცა ყოველ ჩემს ლუკმას ათასი მშიერი მოსტირის—ცხოვრება არ შემიძლიან!

პავ. მაშ, რას აპირებ?

ზურა. წავალ აქედან!

პავ. სად?

ზურა. მე თითონ არ ვიცი! მამა-ჩემო!

პავ. აბა, იფიქრე, სად უნდა წახვიდე, რომ...

ზურა. არა! ამაზე რომ ვიფიქრო, მაშინ თქვენი პრინციპები უნდა ვაღიარო ჩემი ცხოვრების კანონად... ეგ-კი არა მსურს!

შემოდის **ალექსანდრე.**

ზურა. მშვიდობით, მამა! მე მივდივარ შენი სახლიდან! რაც დღემდი ჩემზე დაგიხარჯავს, ვეცდები დავაბრუნო, მაგრამ შენ-კი არა. დავუბრუნებ იმ ღარიბ-ღატაკებს, რომელთაც შენ სისხლსა სწოვდი... ჩემი ღმერთი დაიმსხვრა... (ცრემლი ერევა) შენს შემდეგ, მამავ, აღარაფერი წმინდა ჩემთვის ალარ არსებობს... ღმერთივით გენდობოდი... შენი პატიოსნება მაგალითად მქონდა... ყველაფერი დავკარგე... ყოველი შენი შეხედვა, შენი ხმა მომაგონებს იმ გლეხს, რომელიც წელან აქ ისე წარბშეუხრელად გლანძღავდა, გაგინებდა და შენ კი ნება არა გქონდა ხმა ამოგეღო, თავი გემართლებინა... გრცხვენოდეს, მამავ, ამოდენა კაცი გავხდი და თურმე ერთხელ ჩემთვის სიმართლე არ გითქვამს... მთელი შენი ცხოვრება სულ სიცრუე და მოტყუება ყოფილა!

ალ. ზურა!

ზურა. არა, თავს ნუღა იმართლებ!... შენ შენებურად მართალი ხარ... მშვიდობით! დედასა და რუსიას სადმე ქუჩაშიაც ვნახავ! (გავარდება. სიჩუმე. ალ-რე თავჩაღუნული დგას).

ალ. პავლე, გაჰყევ... თავს არაფერი აუტეხოს...

პავ. (გადის).

ფ ა რ დ ა.

მ ო ქ მ ე დ ე ბ ა მ ე ს ა მ ე.

იგივე ოთახი ღამეა, გარედან მთვარის შუქი, ოთახში ელექტრონის სინათლე. სცენა ცარიელია.

შემოდის **გადია.**

გადია. (შედის დაროს ოთახში. გამოდის, შედის რუსიას ოთახში, ცოტა ხნის შემდეგ იქიდანაც გამოდის, გადის აივანზე და ბალში გადასძახის) რუსია! რუსია!

რუსიას ხმა. აქა ვარ, გადია, აქა!

გადია. ამდენი ხანი ბალში ჯდომა გამიგია? ალარ გეძინება?

რუსიას ხმა. ცოტა ხანი კიდევ დამაცადე, ჩემო გადია!

გადია. სახლში შემოდი... გრილი ღამეა, არ გაცივდე!

რუს ხმა. ეხლავე, ეხლავე! დედა არ მოსულა?

გადია. არა! (შემოდის, ბუტბუტებს) ალარც დღე იციან, ალარც ღამე... დესპინე! გოგო, დესპინე!

შემოდის **დესპინე.**

გადია. გოგო, დრო არ არის, რომ ქალბატონების ლოგინები გაასწორო? იქნება შენც ეშმაკები შეგიჯდა?

დესპ (თავისთვის) სულ ილრინება ეს ქოფაკი.. ნეტა როდის იქნება, რომ ჩაძაღლდეს! (გადის).

გადია. აირია ოჯახი... ძაღლი პატრონს ვერა სცნობს. (გადის).

დესპ. (გამოდის და რუსიას ოთახში შედის).

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემოდიან **დარო** და **გრიშა**.

დარო. არავინა ხართ?

შემოდის **დესპინე**.

დესპ. რას მიბძანებთ?

დარ. (შლაპას იხდის და აძლევს) ბატონი შინ არის?

დესპ. შინ გახლავთ... კაბინეტში სძინავს.

დარ. ვახშამი მიირთვა?

დესპ. არა, თქვენ გელოდათ და ეხლა ჩაეძინა.

დარ. რუსია სად არის?

დესპ. ბაღში ზის...

დარ. კარგი, წადი... მე თითონ დაგიძახებ... (დესპინე გადის. მივიდა ფანჯარასთან) რა მშვენიერი ღამეა! (რამდენჯერმე ღრმათ ამოისუნთქა, მობრუნდა და გრიშას მიაჩერდა, ნელა ასწია ხელი, ელექტრონი ჩააქრო, გაექანა და გრიშას კისერზე მოეხვია. დიდხანს გადახვეულნი არიან) მოდი, აქ დაჯექ! ნუ მიშლი, დავსტკბე შენის ცქერით! (გრიშა დაჯდა, **დარო** მის წინ მუხლებზე დაჩოქილია) როდის, როდის მეღირსება, რომ შემეძლოს უშიშრად შენი მოხვევნა, გულში ჩაკვრა!.. ჩემო ძვირფასო, ჩემო პირველო სიყვარულო!

გრიშა. ჩემო წამებულო!

დარო. მე ვეწამე, მაგრამ შენა?

გრიშა. ჩემს წამებას შენი ტანჯვა აქარწყლებდა.

დარ. გახსოვს, ამ 18 წლის წინად ასევე ვისხედით მამაჩემის სახლში?

გრიშა. მახსოვს ყოველი წუთი...

დარ. გახსოვს, მაშინ რა მითხარი?

გრიშა. მიყვარხარ-მეთქი...

დარ. კიდეც რომ შეგრცხვა და თვალები ძირს დახარე?!..

გრიშა. იმიტომ რომ პირველად წარმოვსთქვი ეს დიდებული სიტყვა.

დარ. მერე აღარავისთვის გითქვამს?

გრიშა. დარო!

დარ. ნუ გამიჯავრდები, ჩემო ძვირფასო! ხომ იცი, რა არის შეყვარებული ქალის გული!

გრიშა. განა ეგრე მიცნობ? არ იცი ჩემი აზრი სიყვარულზე? სიყვარული ერთია, დარო, და ეს ერთი—შენა ხარ!

დარ. დიახ, მე ვარ, თუმცა...

გრიშა. რა თუმცა?

დარ. ხომ გახსოვს გუშინ რაები ილაპარაკა ჩემმა ქმარმა?

გრიშა. მახსოვს! მერე რა?

დარ. რომ იცოდე, რა ტანჯვა განვიცადე მაშინ!

გრიშა. დიახ, მეც უხერხულობას ვგრძნობდი...

დარ. რა ვქნა, გრიშა, ძეტი აღარ შემიძლიან... სიყვარულის ღმერთი მაპატიებს...

გრიშა. ხალხი რომ დაგსჯის?

დარ. ხალხი უარეს სჩადის... ხალხსა და საზოგადოებას შევსწირე ჩემი ახალგაზდობა, ბედნიერება... 18 წელიწადია მონად ვიყავ, ეხლა თავისუფლება მინდა!.. მინდა ერთ წუთს მაინც განვიცადო ბედნიერება.

გრიშა. ყველაფერი გაითვალისწინე?

დარ. ყველაფერი!

გრიშა. შენი შვილები?

დარ. როცა გაიგებენ ჩემს ტანჯვას—მაპატიებენ.

გრიშა. დარო, როცა წარმოვიდგენ—რამდენი ზიზღი და დაცინვა მოგელის ჩვენი საზოგადოებისაგან!..

დარ. გრიშა, აღარ გიყვარვარ?

გრიშა. გრცხვენოდეს ამ კითხვისათვის.

დარ. მაშ რას ნიშნავს შენი ყოყმანი?

გრიშა. შენთვის ვწუხვარ და ვშიშობ.

დარ. ჩემთვის მაშინ გეშინოდეს, როცა შენს სიყვარულს დავკარგავ.

გრიშა. მაშ, კარგი! თანახმა ვარ!.. მოდი, გულზე მიგიკრა! ღმერთო, რა ბედნიერი ვარ! კვლავ გავცოცხლდი, კვლავ დამიბრუნდა წარსული ბედნიერება...

დარ. ეგრე, ეგრე, ჩემო იმედო!.. მაგრა მიმიკარ გულზე... გამითბე გაციებული გული... დამამშვიდე... (ჩაფიქრებული შემოდის რუსია; ხელში ის ვარდი უჭირავს, რომელიც **გრიშამ** მისცა, არჩევს და ფოთლებს სწიწკნის. უეცრად დაინახავს მათ. გაშეშდება. ყვავილი ხელიდან დავარდება. ყურს უგდებს) შენს მოსვლას ისე ველოდი, ვით მთის ყვავილი მზის სხივებს. 18 წელიწადია არ გამიცინია, ჩემს გულს არ უგრძვნია სიტკბოება... არ ვიცოდი რა არის სიხარული... ბავშვსნორჩ გულიდან ამომგლიჯეს შენი სიყვარული და ცოლად მიმცეს იმ კაცს, რომელიც თვალის დასანახავადაც მეჯავრებოდა...

გრიშა. ჩემო ტანჯულო, ჩემო წამებულო!..

დარ. მთელი ყმაწვილ ქალობა შენს მოლოდინში გავატარე... შენის მოგონებით ვცოცხლობდი... შენი სახე ხატად მესვენა გონებაში... ეხლა-კი ძლივს... ძლივს!.. ოჰ, რა ბედნიერი ვარ!.. შენს გულ-მკერდზე...

გრიშა. მომეკარ გულზე, ჩემო ღვთაებავ!

რუსია. (თვალებზე ხელს მიიფარებს და ფეხაკრეფით ოთახში შევარდება).

დარ. ეგრე, ეგრე!

გრიშა. მაშ მოვრჩეთ ამ საქმეს.

დარ. მით უკეთესი!..

გრიშა. მრცხვენიან, რომ ვიპარავ სიყვარულს... ეს შეურაცყოფს ჩვენს წმინდა გრძნობას.

დარ. მაშ, დღესვე, ამ წუთში, ჩემს ქმარს ყველაფერში გამოუტყდები!

გრიშა. დღესვე?

დარ. დიახ, ყველაფერი დღესვე უნდა გადაწყდეს!

გრიშა. მაშ, მეც დავრჩები.

დარ. შენ რათა?

გრიშა. შეურაცყოფა რომ მოგაყენოს?

დარ. ჩემთვის შიშობ? არა, საჭირო არ არის!.. შინ წადი, მშვიდობით!

გრიშა. დარო, არ შემიძლიან! როგორ, შენ აქ დაგტოვო, ამ განსაცდელში და მე შინ წავიდე? მთელი ღამე მოუსვენრად ვიქნები... დერეფანში მაინც მოგიცდი და ყურს დაგიგდებ.

დარ. არა, ნუ გეშინიან... არაფერიც არ მოხდება... აბა, მშვიდობით! ტელეფონით შეგატყობინებ ყველაფერს! დილით მე თითონ მოვალ!.. მშვიდობით!

გრიშა. მშვიდობით! (ერთმანეთს მოეხვევიან).

(შემდეგი იქნება)

ვალ. შალიკაშვილი.

ჩვენი დროის მკლავაძე.

ტფილისი, მუხრ ნის ქუჩა, სტამბა „შრომა“. რედაქტორი ა. ჭუმბაძე. გამომცემელი ა. ჯაჯანაშვილი.